სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ბათუმის „ბათუმი“ - თბ „აკადემია“		
გუნდი	თბ „აკადემია“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	29/02/2024	მატჩის ადგილი	ბათუმი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ნიკოლოზ ჩიტალაძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, დავით ჟალტუნოვი	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია- 8.13 არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;	☐ **წითელი ბარათი** ☒ **საითინგი** ☐ **სხვა** თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი		**განხილვის ადგილი**	
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		**აღნიშნეთ ვინ**	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, დავით ჟალტუნოვის საითინგი		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, დავით ჟალტუნოვის საითინგი;
2. მატჩის კიდის მსაჯის, დავით დოლიძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. მატჩის კიდის მსაჯის, გიორგი ჩხარტიშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის მეთვალყურის, მამუკა ჯანაშიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. თბ „აკადემია“-ს „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელის, ნიკოლოზ ჩიტალაძის მიერ მოწოდებული ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „აკადემია“-ს „ბ“ ლიგის მწვრთნელმა, ნიკოლოზ ჩიტალაძემ :

- ✓ აღიარა მსაჯის საითინგში აღმიშნული ფაქტი. კერძოდ, რომ ის შევიდა მოედანზე და გააპროტესტა მსაჯის გადაწყვეტილება ჯარიმის დროს მოთამაშეთა შეცვლის შესახებ. მისი თქმით ჯარიმის დროს არ არის დაშვებული მოთამაშეთა შეცვლა.
- ✓ აღიარა, რომ გადაწყვეტილების გაპროტესტების დროს მან მიმართა მსაჯს რეპლიკით „მაგარ *ლეობას აკეთებო“.
- ✓ არ დაეთანხმა მსაჯის საითინგში აღნიშნულ მუქარის ფაქტს „დამთავრდება თამაში და ნახე შენ რა მოგივაო“ მისი მხრიდან.

ნიკოლოზ ჩიტალაძემ გულწრფელად მოინანია მისი არამართებული ქცევის ფაქტი და განმარტა, რომ ყოველივე ეს გამოწვეული იყო მისი აზრით მსაჯის მხრიდან მოთამაშეთა შეცვლის წესის დარღვევით რომელიც თამაშის შედეგზე იმოქმედებდა. თუმცა კიდევ ერთხელ აღიარა არამართებული ქცევის ფაქტი და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა

1. მატჩის მსაჯის, დავით ჯალტუნოვის საითინგი (ციტირება) - თამაში მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში,მეორე ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე როდესაც ანგარიში იყო 8:25 აკადემიის სასარგებლოდ,აკადემიის მთავარი მწვრთნელი ნიკოლოზ ჩიტალაძე შემომივარდა სტადიონზე როდესაც თამაში მიმდინარეობდა და აპროტესტებდა შეცვლის წესს (შეტევის დროს შეცვლა არ შეიძლებაო)რეალურად შეცვლა მოხდა უქმ დროს.მომიწია თამაშის შეჩერება და მითითება ნიკა ჩიტალაძესთვის რომ დაეტოვებინა სტადიონი და ასევე ავუხსენი რომ შეცვლა გაკეთდა სწორად, ამ მითითების შემდეგ მთ.მწვრთნელის მხრიდან დაფიქსირდა შეურაწყოფა (მაგარ *ლეობას აკეთებო),ამის შემდეგ მე მას ვაჩვენე

წითელი ბარათი და ვუთხარი რომ ჩვენ არ ვართ ქუჩაშითქო და ეგრე ნუ მესაუბრები. ამ მოკლე საუბრის შემდეგ გასვლისას მან მითხრა რომ (დამთავრდება თამაში და ნახე შენ რა მოგივაო).ეს მიმართვა ჩემთვის იყო მუქარის შემცველი.

2. მატჩის კიდის მსაჯის, დავით დოლიძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - დავით დოლიძემ დაადასტურა, რომ თავად გაიგონა „აკადემია“-ს მწვრთნელის ნიკოლოზ ჩიტალაძის რეპლიკა „მაგარ *ლეობას აკეთებო“ რომლის გამოც მსაჯმა მას წითელი ბარათი უჩვენა. ხოლო წითელი ბარათის მიღების შემდეგ, ნიკოლოხ ჩიტალაძემ „დამთავრდება თამაში და ნახე შენ რა მოგივაო“ რეპლიკით დატოვა მოედანი.
3. მატჩის კიდის მსაჯის, გიორგი ჩხარტიშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - გიორგი ჩხარტიშვილის განცხადებით, მან დაინახა თუ როგორ შევიდა „აკადემია“-ს მწვრთნელი მოედანზე და ეკამათებოდა მსაჯს მოთამაშეთა შეცვლის წესების შესახებ, თუმცა ვინაიდან იმყოფებოდა მოშორებით მან პირადად ვერ გაიგონა მსაჯის საითინგში აღნიშნული რეპლიკები ნიკოლოზ ჩიტალაძის მხრიდან და ამის შესახებ თამაშის დასრულების შემდეგ შეიტყო.
4. მატჩის მეთვალყურის, მამუკა ჯანაშიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - მამუკა ჯანაშიას განცხადებით მან დააფიქსირა „აკადემია“-ს მწვრთნელის ნიკოლოზ ჩიტალაძის მოედანზე შესვლის და მსაჯთან კამათის ფაქტი, თუმცა ვინაიდან იმყოფებოდა მოშორებით მან პირადად ვერ გაიგონა მსაჯის საითინგში აღნიშნული რეპლიკები ნიკოლოზ ჩიტალაძის მხრიდან.
5. თბ „აკადემია“-ს „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელის, ნიკოლოზ ჩიტალაძის მიერ მოწოდებული ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა - სასიციპლინო კომისიამ ვიდეომასალის განხილვის შემდეგ მსჯელობისას ვერ გამოავლინა რაიმე გარემოება რაც გამოიწვევდა მატჩის ოფიციალური პირების განცხადებებში ეჭვის შეტანის საფუძველს გარდა ერთისა - კერძოდ მატჩის მსაჯის დავით ჟალტუნოვის საითინგის მიხედვით (ციტირება) – „მეორე ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე როდესაც ანგარიში იყო 8:25 აკადემიის სასარგებლოდ,აკადემიის მთავარი მწვრთნელი ნიკოლოზ ჩიტალაძე შემომივარდა სტადიონზე როდესაც თამაში მიმდინარეობდა“. მოწოდებული ვიდეომასალის მიხედვით თამაში შეჩერებული იყო და ნიკოლოზ ჩიტალაძე არ „შევარდნილა“ მოედანზე. ნიკოლოზ ჩიტალაძე მატჩის მეთვალყურესთან ერთად შევიდა მოედანზე.
6. სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის დროს იმსჯელა მატჩის ოფიციალური პირების და „აკადემია“-ს მწვრთნელის, ნიკოლოზ ჩიტალაძის განცხადებებზე. სადისციპლინო კომისიის აზრით არ არსებობს რაიმე გარემოება რომელიც შესაძლოა გათვალისწინებული ყოფილიყო ნიკოლოზ ჩიტალაძის საქციელის გასამართლებლად და მსაჯის გადწყვეტილების საჯაროდ გაპროტესტება ზემოაღნიშნული შეურაცხმყოფელი რეპლიკით სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 8.13 პუნქტის (არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;) დარღვევაა.

7. სადისციპლინო კომისიამ ასევე იმსჯელა მსაჯის საითინგში აღნიშნულ მუქარის ფაქტზე ნიკა ჩიტალაძის მხრიდან მსაჯის მიმართ. მუქარის შემცველი რეპლიკა „დამთავრდება თამაში და ნახე შენ რა მოგივა“ დადასტურებულია მატჩის ოთხი ოფიციალური პირიდან ორის მიერ (მატჩის მსაჯი -დავით ჟალტუნოვი და კიდის მსაჯი დავით დოლიძე), რაც აგრეთვე სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 8.13 პუნქტის (არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;) დარღვევაა.
8. სადისციპლინო კომისია განმარტავს, რომ მატჩის ოფიციალური პირები სრკ-ს მიერ ორგანიზებულ თამაშებზე დანიშნულები არიან სრკ-ს მიერ. მათ კომპეტენციაში ან ობიექტურობაში ეჭვის შეტანა არ აძლევს თამაშში მონაწილე რომელიმე მხარეს უფლებას საჯაროდ გააპროტესტოს, შეურაცხყოფა მიაყენოს და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირს **თამაშის დროს**.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა

სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების და მსჯელობის შემდეგ სადისციპლინო კომისიამ დადგენილად ცნო თბ „აკადამია“-ს „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელის, ნიკოლოზ ჩიტალაძის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 8.13 პუნქტის (არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;) დარღვევა და მიიღო

გადაწყვეტილება

1. თბ „აკადემია“-ს „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელს, ნიკოლოზ ჩიტალაძეს აეკრძალოს **სათამაშო სივრცეში*** ყოფნა **6(ექვსი) კვირით/თამაშით** (12/03/2024-დან 25/04/2024-ჩათვლით. ჭაბუკთ „ბ“ ლიგის საშეჯიბრო ცხრილის მიხედვით) სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა „ბ“ ლიგის თამაშებზე თბ „აკადემია“-ს მონაწილეობით.

* სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია: ტერმინთა განმარტება - 2.12. **სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	12/03/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]